

# სამართლებრივი ადვოკატთა ასოციაცია GEORGIAN BAR ASSOCIATION

[WWW.GBA.GE](http://WWW.GBA.GE)



*GBA-Newsletter*

დეკემბერი 2016

სისხლის სამართლის კომიტეტმა სამუშაო შეხვედრა გამართა



2016 წ. 19 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრებსა და სიფა-ს სისხლის სამართლის ექსპერტებს შორის. საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მხარეთა შეჯიბრებითობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება“, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია დანაშაულის პროვოცირების 2015-2016 წწ. საქმეებისა და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს უახლესი პრაქტიკის კვლევა და ანალიზი.

ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული კოლეგის/ადვოკატის გამოცდილებისა და მოსაზრებების მოსმენა და გაზიარება, რაც სწორედ ამ შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. სიფა განაგრძობს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე.

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ავღანელ კოლეგებს საკუთარ ოფისში უმასპინძლა



15 დეკემბერს, ავღანეთის ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში იმყოფებოდა და ქართული ადვოკატთა ასოციაციის მუშაობას, სტრუქტურას, პროექტებს და სამომავლო გეგმებს გაეცნო.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა ისაუბრა ეთიკის კომისიის, სასწავლო ცენტრის, აღმასრულებელი საბჭოს და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. სტუმრები დაინტერესდნენ საადვოკატო გამოცდის ელექტრონული მოდელით, რაც უპრეცედენტოა საქართველოში და წარმატებით ხორციელდება. ასევე მოისმინეს ადვოკატის სკოლის შესახებ, რომელიც 2017 წლიდან ამოქმედდება და რადიკალურად შეცვლის პროფესიაში შემოსვლის სტანდარტებს.

ავღანეთის დელეგაცია მესამე დღეა შეხვედრებს მართავს გერმანელ და ქართველ კოლეგებთან, რომელიც ორგანიზებულია DEUTSCHE GESELLSCHAFT FÜR INTERNATIONALE ZUSAMMENARBEIT (GIZ)- ის მიერ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია კვლავაც გააგრძელებს თანამშრომლობას ქვეყნებთან ადვოკატის პროფესიის ინსტიტუციური გაძლიერების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში ლიდერია ადვოკატის პროფესიის განვითარების და ნოვაციების დანერგვის კუთხით.

# მართლმსაჯულების სისტემაში კორუფციასთან ბრძოლის და იურიდიული პროფესიის თვითმმართველობის საკითხებზე ორდღიანი კონფერენცია გაიმართა



- 13-14 დეკემბერს სასტუმროში „Hotel Holiday Inn“ საერთაშორისო კონფერენცია „კორუფციასთან ბრძოლა მართლმსაჯულების სისტემაში/იურიდიული პროფესიის თვითმმართველობა“ გაიმართა, სადაც განიხილებოდა მართლმსაჯულების სისტემაში ანტიკორუფციული ზომების განხორციელება. ანტიკორუფციული პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკა და სტანდარტები საქართველოს სასამართლო სისტემაში. ანტიკორუფციული პოლიტიკა ავღანეთში - გამოწვევები და პერსპექტივები. ანტიკორუფციული პოლიტიკა საქართველოში - გამოწვევები და გზები. ადვოკატთა საპროცესო უფლებები სისხლის სამართლის პროცესში. იურიდიული პროფესიის თვითრეგულირების საკითხები. ადვოკატთა პროფესიული უფლებები და მოვალეობები.  
კონფერენციას მიესალმა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე საქართველოში ანა ზეცი, მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვახტანგ მჭედლიშვილი, ავღანეთის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი რუჰულაჰ ქარიზადა.  
კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დელეგაციებმა გერმანიის და ავღანეთის ადვოკატთა ასოციაციებიდან.  
კონფერენცია დაფინანსებული იყო DEUTSCHE GESELLSCHAFT FÜR INTERNATIONALE ZUSAMMENARBEIT (GIZ)- ის მიერ



# ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) პლენარულ სესიას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია დაესწრო



2 დეკემბერს, ბრიუსელში ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE) პლენარული სესია გაიმართა, რომლის მიმდინარეობის დროს არჩეული იქნა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ახალი პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები. სესიაში, ევროკავშირის ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციების ყველა დელეგაცია იღებდა მონაწილეობას. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას წარმოადგენდნენ ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი და ადვოკატთა უფლებათა დაცვის კომისიის წევრი ფრიდონ სიხუაშვილი.

წინა დღით, ადვოკატთა ასოციაციის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო CCBE-ის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაში, სადაც ევროპულ ადვოკატებს დაწვრილებით მოახსენეს ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესის დეტალები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ადვოკატისათვის, თავისი საქმიანობის განხორციელებისას, პოლიციის ოფისში ბორკილების დადება, ცემა და შეურაცხყოფა შეიძლება შეფასდეს, როგორც წამება და არაპუმანური მოპყრობა, რაც მძიმე კანონდარღვევაა და სწრაფად და ეფექტურად უნდა იქნას გამოძიებული, ხოლო დამნაშავე პირები კანონის შესაბამისად დასჯილნი.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ევროკავშირის რამოდენიმე ქვეყნის ადვოკატთა დელეგაციამ გამოთქვა მზადყოფნა მონაწილეობა მიიღონ ადვოკატ გიორგი მდინარაძის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე საერთაშორისო რეაგირების ღონისძიებებში და ბ-ნი მდინარაძის სასამართლო პროცესებზე დასასწრებად საქართველოში სადამკვირებლო მისია გამოგზავნონ.

CCBE-ის პლენარულ სესიაზე, დავით ასათიანმა მადლობა გადაუხადა ევროპულ კოლეგებს მრავალწლიანი თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ 1990 წელს გაეროს მიერ დამტკიცებული ადვოკატთა როლის შესახებ პრინციპების განუხრელად დაცვა, რომელიც სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ადვოკატს, თავიანთი საქმიანობის, დაშინების, ძალადობის, ჩარევის, შეურაცხყოფის და კლიენტთან იდენტიფიცირების გარეშე განხორციელებაში, წარმოადგენს მართლმსაჯულების ადმინისტრირების მნიშვნელოვან გარანტიას და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, რის მისაღწევადაც ქართველი ადვოკატები აქტიურ ბრძოლას აგრძელებენ.

# სასწავლო ცენტრი

## 2016 წლის დეკემბერში განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი:

- 1 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 1 დეკემბერი – ტრენინგი ტრენერთა უნარ-ჩვევებზე.
- 2 დეკემბერი – ტრენინგი ტრენერთა უნარ-ჩვევებზე.
- 2 დეკემბერი – საკუთრების სამართალთან დაკავშირებული საკითხები.
- 2–3 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 3–4 დეკემბერი – ტრენინგი ტრენერთა უნარ-ჩვევებზე.
- 4 დეკემბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 5–6 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 5–6–7 დეკემბერი – არასწრულწლოვანთა მართლმსაჯულება.
- 6–7 დეკემბერი – მედიაცია.
- 7–8 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 9 დეკემბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 10 დეკემბერი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი.
- 10–11 დეკემბერი – მედიაცია.
- 10–11 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 12 დეკემბერი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.
- 12–13 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები.
- 16 დეკემბერი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.
- 19–20–21 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სტანდარტები.
- 23–24 დეკემბერი – მედიაცია.
- 26 დეკემბერი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.

ქუთაისი:

- 6–7 დეკემბერი – საქმის არსებითი განხილვა.
- 9 დეკემბერი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.
- 12–13 დეკემბერი – საქმის არსებითი განხილვა.

ბათუმი:

- 13 დეკემბერი – ეკონომიკური დანაშაული.
- 15–16 დეკემბერი – საქმის არსებითი განხილვა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708 ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00–დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00–დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33/36

### თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: [info@gba.ge](mailto:info@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: [info.qutaisi@gba.ge](mailto:info.qutaisi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: [info.telavi@gba.ge](mailto:info.telavi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: [info.batumi@gba.ge](mailto:info.batumi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: [education@gba.ge](mailto:education@gba.ge) / [sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33